ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3377658

ნომერი: AR1518297

თარიღი : 28.06.2017

გაცემის თარიღი : 05.07.2017

გაცნობის თარიღი : 05.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარშალ გეოვანის გამზირსა და მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩახტაური პ/ნ 01011012854
- დ.გამრეკელის ქ.#19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან თქვენ დაინტრესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საპროექტო არეალზე უკვე გაცემულია სამსახურის მიერ AR1492173 განცხადების 25.04.2017 წ. №3221984 გადაწყვეტილებით წერილობითი დასტური და ახალი განაცხადით ითხოვთ იგივე არეალში ახალი სარეკლამო ბილბორდის განთავსებას, მოგახსენებთ რომ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები არ არის ნაწარმოები საკითხი უნდა დააყენოთ სამსახურის 25.04.2017წ. №3221984 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით. ახალი განაცხადის დარეგისტრირებისას უნდა წარმოადგინოთ დღეის მდგომარეობით გადაღებული ფოტომასალა და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. ახალი მშენებლობის თაობაზე მსჯელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გაცემული წერილობითი დასტურის აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი უკვე განთავსებულია, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტოსურათები და ნაცვლად ახალი მშენებლობისა განაცხადი დააყენოთ რეკონსტრუქციის კუთხით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.